№ 120 თიბათვე 11, კვირა — 1889 — თიბათვე 11, კვირა № 120

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1889

სამშაბათს, 13 ივნისს,

ნემეცის ბაღში (მიხეილის ქუჩაზე) ქართველ მომღერალთა ხორო გამართავს საგანგებოდ ამორჩეულის სიმღერების

**კონცერტს**

არტისტის ი. ი. რატილის ლოტბარობით.

(2—2)

## ძილია თუ ღვიძილობა?

ვეფხის-ტყაოსნის ეს სიტყვები გაგვახსენა ბ-ნის დავ. მიქელაძის წერილმა (ნახე „ივერია“ № 117): „ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა საქმეც აბარიათ ეკკლესიის მზრუნველთა და რის გაკეთებაც შეუძლიანთ! ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ამ ზომამდე გაზვიადება თითოეულის წვრილმანის მოვლენისა? განა ბევრად უფრო სასარგებლო და ეკონომიური არ იქნებოდა, რომ ჩვენი განათლებულნი და მაღალის სულის მქონნი კაცნი უფრო სხვა დიდს საქმეებს და მოვალეობას მივანდომოთ?!“

ამ გვარი საყვედური პირველი გაგონება არ არის. რაზედაც უნდა ჩამოაგდოთ ლაპარაკი, რასაკვირველია, ვცდებით მისი ყოველ მხრივი სასარგებლო მხარე გამოხატოთ და მნიშვნელობა გარკვევით ახსნათ. ამაზე მაშინათვე გეუბნებიან, რა არის აგრე გაზვიადებაო? აქამდე ვერ შეუტყვიათ, რომ რომლისამე საგნის მნიშვნელობის გარკვევა და გამოსახვა ისე არ შეიძლება, თუ არ განვიხილეთ, რა მხრით დაგვეხმარება და სარგებლობას მოგვცემს, ან რა ვნებას უნდა მოველოდეთ. გამოსახავთ, მაგალითად, „წერა-კითხვის საზოგადოების“ მნიშვნელობას, გეუბნებიან: რა არის, ეგრე გაზვიადებაო? იტყვით რასმე ქართულს თეატრზე, სკოლაზე, სასოფლო ბანკებზე, მეურნეობაზე,—რა არის, აგრე აზვიადებთო. იტყვით რასმე ქართულ მწერლობაზე, ქვეყნის ისტორიის, ან ლიტერატურის ისტორიაზე—და, მეტად აზვიადებთო!

რას ჰნიშნავს ეს საყვედური, ეს მუდამ დღე დაჩორვა და დაშამათება ყოველისფრისა, რაც-კი დღიურ ცხოვრების მოვლენას მოაქვს. თვალი უნდა დავხუჭოთ და პირი მოვარიდოთ, თუ უნდა გავახილოთ და ჩვენის ცხოვრების წინ წაწევისათვის მოვიხმაროთ, რაც დროთა ვითარებას მოაქვს? ყოველ განათლებულ საზოგადოებაში, ყოველ მწერლობაში პატივსაცემი ადგილი უჭირავს იმ აზრს, რომელიც მომატებულის სიფხიზლით თვალ-ყურს ადევნებს დღიურს მოვლენას, აღნიშნავს ამ მოვლენას, ახსნის იმის მნიშვნელობას და იმის საჭიროებას. განა ეს აღნიშვნა, ახსნა გაზვიადებაა?

— დიახ, გაზვიადებააო, გვიპასუხებენ. ვფიქრობთ, ვფიქრობთ და ბოლოს ვხედებით, რომ სწორედ მსმენელს გაზვიადებად უნდა მიაჩნდეს. როგორაო?—და იმ გვარად, რომ მსმენელს პირველად ესმის, ან თუ ჰსმენია, არ დაჰკვირვებია ფაქტს. ახლა გაკვირვებულია და ჰკვირობს: ნუ თუ ეს ამბავი ასეთის მნიშვნელობისა ყოფილაო? მაგრამ ჩვენ რა, თუ იმას არ უფიქრია და გაზვიადებულად ჰგონია სრულიად მარტივი ახსნა, ან აღნიშვნა მოვლენისა. ჩვენ ამ ამბავზე მხოლოდ ჩვენს თავსა ვკითხავთ: რის მომასწავებელია ეს ამბავი, ძილია თუ ღვიძილობა?

მეტი ღონე არ არის, უნდა დაიწყოს კაცმა ელემენტარულის აზრის გამოლაგება და წვრილიდამ გადავიდეს საბაასო საგანზე. რა ვქნათ, ასეა საქმე და ნურავინ დაგვემდურება მციროდე განმარტებისათვის. ადამიანის ყოველ გვარ ნივთიერსა თუ სულიერს ნამოქმედარში ისახება კაცის სულიერი ძალა, ესე იგი რასაც-კი კაცი ხელით, სიტყვითა და გონებით აკეთებს, ყოველისფერში ისახება ადამიანის სულიერება, სულიერი მხარე. სიმღერა, ლექსი, შენობა, ქანდაკება, ერთის სიტყვით, ხელოვნებას რომ ვეძახით, ის-კი არა,—უბრალო ხელოსნობა, წალის კერვა, ავეჯის კეთება, უბრალო შანდლის ჩამოსხმაც რომ ვახსენოთ, ამის გამოყვანაშიაც ადამიანის შინაგანი ძალია მომქმედი. ყოველივე ნამოქმედარი კაცისა, იტყვიან ხოლმე, სარკეა ადამიანის სულისაო. ყოველ საქმეში ამიტომ ადამიანის სულსა ვხედავთ, იმის სულიერის მხრის გამოჩინებას.

შორიდამ დავიწყეთ, მაგრამ რას იზამთ, რომ გვეჭირება ამისი ახსნა. მუდამ დღიური მწერლობა კაცის სულიერის მხრის იმ გამოჩინებას აკვირვებს თვალსა, რომელიც ადამიანის საზოგადო ცხოვრებას ეკუთვნის, და არა საკუთრად თითოეულის განმარტოებულის კერძო კაცისას და ოჯახობისას. ამ საზოგადო ცხოვრების სფერაში ადამიანის სულიერი სიცოცხლე მრავალ გვარია და მრავალ ფერი. ადამიანის სულიერის მოქმედების ძალა ჩანს ხელოვნებაში, მწერლობაში, სხვა-და-სხვა სასარგებლო, სამადლო, სამეცნიერო კრებაში, სამხედრო ასპარეზზე, სარწმუნოებისა და საეკკლესიო საქმეებში, ქვეყნის გამგებლობაში, სათემო მართვაში, კანონ მდებლობაში, ყოველ-გვარ სახელმწიფო და საერო ყოფა-ცხოვრებაში. ამ საერთო, საყოველთაო ასპარეზზე ნიჭის გამოჩენას თითოეულის კაცისას, ან ხალხისას ყოველგან და ყოველთვის ერთ გვარად არა ვხედავთ. ზოგან ერთ-ერთს ასპარეზზე ტრიალებს ადამიანის ნიჭი და მეორე ასპარეზზე ვერ გადასულა. ზოგან ნიჭი ყოველ გვარ ასპარეზზე ვარჯიშობს. ამას სხვა-და-სხვა მიზეზი აქვს, რომელიც დამოკიდებულია ისტორიულ მდგომარეობაზე, განათლების ხარისხზე, კულტურის ღონეზე და სხვა და სხვა. ერთი უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კი ადამიანი გამოვიდა თავის ოჯახობის წრიდამ და შევიდა საზოგადო ასპარეზის წრეში, რაც უნდა ვიწრო წრე იყოს, ადამიანს ღონისძიება აქვს თავის სულიერ ნიჭს შემოქმედებითი ძალა გამოაჩენინოს. ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ წრეში ყოფილან და გამოუჩენიათ საკვირველი ძლიერება სულისა ყოველთვის და ყოველ საუკუნეებში, თვით იმ შავსა და ბნელს დროსაც-კი, რომელსაც ისტორიაში შუა საუკუნეები ჰქვიან.

ქვეყანამ შეიტყო, რომ ცხოვრების წინ წაწევა მაშინ შეიძლება, როდესაც კაცი კაცს უახლოვდება; ერთად მუშაობა უადვილებს კაცს კეთილდღეობას. ამ ერთად მუშაობის ასპარეზი მრავალ გვარი უნდა იყოს, რომ ყოველ გვარის ნიჭის პატრონს მიეცეს გზა და კვალი მოქმედებისათვის. როგორცა ვსთქვით, მრავალ-ფერობა ასპარეზებისა დროსა, ადგილსა და მრავალ გარემოებასა და მიზეზზეა დამოკიდებული.

აქედამ გადავიდეთ პირდაპირ ჩვენს საბაასო საგანზე. ჩვენში დღეს რაოდენიმე ასპარეზია კაცის სულიერის საჭიროების დასაკმაყოფილებელი. მას შეუძლიან კაცს გამოაჩენინოს თავისი სიკეთე და ნიჭი. ამ ასპარეზებზე მუშაობა და ვარჯიშობა გასწვრთნის ჩვენს საზოგადოებასა და ერს, შეაჩვევს ერთობასა და საერთო მუშაობას, გამოაჩენინებს ქართველს კაცს ნიჭსა და ქვეყნის სასარგებლო საქმეს. დღეს თვალი უნდა გავახილოთ და ვეძიოთ, სადაც-კი ჩვენში რაიმე ასპარეზია ჩვენის სულის ღონის სავარჯიშებელი, რომ ფეხი შევდგათ და ვისწავლოთ რამე. დრო მიდის, ყველანი წინ მიდიან, ყველა იცვლება და განა ჩვენ უნდა შევსდგეთ და არ მივხედოთ, რაც ჩვენს გარსა ხდება თუ გნებავთ ეს წინ-სვლა, ცვლილება დიდ-დიდ საქმეებით-კი არ კეთდება, არამედ ძალიან წვრილ-წვრილ მუშაობით, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად.

ტფილისის ქართველობაზე გვქონდა ლაპარაკი. ბ-ნი დავ. მიქელაძე ბრძანებს, რომ დიდად შემაწუხებდა, ეს ლაპარაკი, „თუ ცოტა რამ მეც არა მცოდნოდა ტფილისელ ქართველთა მდგომარეობაზედაო“. აი, ბურთი და მეიდანი. ტფილისს ყველანი თვალითა ვხედავთ; ვხედავთ ამ საასპარეზო მეიდანს, ვხედავთ აქ ქალაქის მეოთხედ რიცხვს მოსახლე ქართველობას. სად არის იმისი ასპარეზობა, სად არის იმისი ბურთი. შეხედეთ სხვა ტომის მოსახლეთა, სომხებს, რუსებს, ყველას ბურთი უჭირავს, ყველანი ასპარეზობენ, ვარჯიშობენ, ლელოზე ცდილობენ ბურთის გატანას. ქარ-

## ფელეტონი

### ღვთის შვილი

(ნათარგმნი)

— ტყუილად შფოთავ, ჩემო კარგო! დამშვიდდი, დამშვიდდი! ეუბნებოდა მოხუცი ბებია მარიამი ახალგაზდა მშობიარე ქალს, რომელსაც ჩვრებში შეხვეული ერთის კვირის დაბადებული ვაჟი ეჭირა ხელში: აღშფოთება უფრო გავნებს!

— მეცოდება, ჩემო მარიამ, მეცოდება! იმეორებდა ქალი და გაშტერებით დაჰყურებდა ბავშვს. სწორედ ამ გაშტერებით ყურებამ, ამ დიდრონის შავის თვალებით ღმობიერმა ცქერამ დაჰლუპა იგი.

— რა გეცოდება?.. მოთმინება, დამშვიდება იქონიე და ღმერთი მოწყალეა, ეუბნებოდა კეთილი ბებია. უცებ, თითქო მოაგონდა რამეო, მარიამი მოუჯდა საწოლზე წამომჯდარ მშობიარეს და ნელის ხმით ჰკითხა: განა არავინა გყავთ, ან ნათესავი, ან მახლობელი ნაცნობი? იქნება შემწეობა მოგვცენ? მითხარი, თუ გყავს ვინმე, ჩემო მშვენიერო, და მე ეხლავე შევატყობინებ...

— მყავს ერთი მეგობარი... გათხოვილია... მდიდარია... სასწავლებელში მეგობრები ვიყავით.

— იმას მისწერე და იქნება უარი არ შემოგითვალოს...

მეორე დღესვე დილით ბებია მარიამის სახლ წინ გაჩერდა კოპწია ეტლი. ეტლიდამ მსახურის შემწეობით ჩამოხტა ახალგაზდა მდიდრულად მორთული ქალი. მარიამი გამოეგება სტუმარს.

— აქა დგას ბებია ფიხნერი? ჰკითხა სტუმარმა მარიამს.

— აქ გახლავთ, ქალბატონო, მობრძანდით.

— ელენე ზანობისა თქვენთან არის?

— დიახ, მობრძანდით, მობრძანდით! სწორედ არა-სასიამოვნო ამბავია, ეუბნებოდა აივანზე მიმავალი სტუმარი მარიამს: ძლივს გამოვთხოვე ნება ჩემს ქმარს, არ მიშვებდა... მაგრამ რომ არ შეიძლებოდა არ მენახა... მეგობრები ვიყავით ..

— რას იზამთ, ქალბატონო, ბედნიერება ამ ქვეყნად ბევრს არ უწერია... სწორედ საშინელს, უბედურს ყოფაშია საწყალი. თუ შეგიძლიანთ რამე, იმედია, არას დაიშურებთ... უნდა-კი გითხრათ, რომ მეტად მშვენიერი ბავშვი ჰყავს .. თორემ თქვენ თითონაც ჰნახავთ.., მე წინ გიახლებით და გავახარებ ელენეს.

მდიდარის ვაჭრის ცოლი ანნა ტერბინისა, შევიდა თუ არა ბნელს ოთახში, სადაც წამლების სუნი უკვე დაბუდებულიყო, საშინლად გაწითლდა, მიუახლოვდა ელენეს და წამოიძახა:

— ელენე! რა საშინელებაა? განა მოიფიქრებდი, რომ ამ ყოფაში განახავდი როდისმე?

ელენე სილამაზითა და სწავლითაც სასწავლებელში გაცილებით სჯობდა ანნას... ამიტომაც, ცოტა არ იყოს, ანნა გულში შურსა ჰგრძნობდა მეგობრისადმი.

— ნუ გამკიცხავ, წამოიდუდუნა ელენემ... ისეც ვწუხვარ, ვიტანჯვი... მრცხვენიან....

— მერე როგორ მიაღწიე ამ ყოფამდე? განა ისეთი...

— რატომ ჯერ სალამს არ მაძლევ, გააწყვეტინა სიტყვა ელენემ: იქნება შიშობ?

ანნამ გაუწოდა ხელი, ელენემ მაგრა ჩამოართვა და დაუწყო ხელზე კოცნა.

— გმადლობ, უფალო, რომ ერთი ადამიანი მაინც არის კიდევ გამოჩნდა ჩემი შემბრალებელი...

ცრემლმა აღარ დააბოლოვებინა სიტყვა უბედურს ქალს.

— კიდევ ცრემლები! აღარ მოისვენებთ? ჩაერია ბებია მარიამი.

— ნახე ის, ჩემი შვილი? მეცოდება უბედური! იგი არაფერშია დამნაშავე, ანნა!.. თუ მოვკვდე, ნუ დასტოვებ, ნუ მოჰკლავ... შენთან წაიყვანე, შეევედრა ელენე ანნას: აღმითქვი, რომ წაიყვან, არ დასტოვებ უნუგეშოდ უდანაშაულო ბავშვს...

— რაებს ამბობ, ქალო! მთლად კარგად მყოფს სიკვდილისა რა გჭირს? რად სცოდავ ღმერთს? ჩაერია ბებია.

ელენე ბებიას ყურს არ უგდებდა, იგი ანნას მისჩერებოდა და ეხვეწებოდა:

— აღმითქვი, ჩემო მეგობარო, თუ კიდევ გახსოვს ჩვენი მეგობრობა, რომ წაიყვან, არ დასტოვებ უპატრონოდ, უსახლ-კაროდ...

— ღმერთო ჩემო! რად გინდა აღთქმა? განა შენ რა გჭირს სასიკვდილო? აი თვით ბებიაც ამბობს, რომ კარგადა ხარ... მე, რასაკვირველია, მზადა ვარ, რაც-კი შემიძლიან, რის ნებასაც მომცემს ჩემი ქმარი... მე ყოველთვის მოხარული ვიქნები შენ შეგეწიო, უპასუხა ანნამ.

— არა, არა, ჩემო ანნავ! აღმითქვი, რომ უსათუოდ წაიყვან!

— თუ ეგ დაგამშვიდებს, აღმითქვამს, თუმცა...

— მარიამ, ხომ გაიგონე? აღმითქვა ანნამ, პირობა მომცა!.. ოხ! ღმერთო, გმადლობ, გმადლობ...

ანნა გამოეთხოვა ავადმყოფს და გამოვიდა ოთახიდამ შინ წასასვლელად.. გზაზე ბებიას ჰკითხა:

— კარგად არის, არა? საშიშო ხომ არა არის-რა?

— რამდენადაც ვიცი მშობიარი საქმე, კარგად არის.

— მადლობა ღმერთს, თორემ ჩემი აღთქმა, თუმცა ნაძალადევია, მაინც არაფერი სასიამოვნო იქნება, რომ...

— დარწმუნებული იყავით, ქალბატონო, რომ აქ საშიში არაფერია... იმავ ღამეს ბებია მარიამი გამოაღვიძა მშობიარის საშინელმა კვნესამ. ბებია გონს ვერ მოვიდა, თუ ასე უცაბედად რა დაემართაო ელენეს, და საჩქაროდ გაჰგზავნა მსახური ექიმთან. ექიმი მალე მოვიდა, მაგრამ შველა გვიან-ღა იყო. ელენეს სალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობას პირი დაუღია და თამაშას უყურებს. განა ეს ყოფაა, ცხორებაა 25,000 კაცისა, რომ არაფერში ნიშანწყალი არ ეტყობოდეს? წინა წერილებში მაგალითები მოვიყვანეთ, რომ ტფილისში საზოგადო ასპარეზზე ქართველობა და იმისი წარმომადგენელი ინტელიგენცია არა ჩანს. გამეორება საჭირო აღარ არის. შეიხედეთ ყოველ გვარ საზოგადო დაწესებულებაში და ყველგან გაგაკვირვებთ იმისი არ-ყოფნა, ან სიმცირე.

ამას რომ ვამბობთ, ჩვენ ის-კი არ გვინდა ვთქვათ, ქართველობას და იმის წარმომადგენელ ინტელიგენციას ნიჭი არა ჰქონდესო, არასოდეს. ჩვენ ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ შეჩვეული არ არის საზოგადო ასპარეზზე ფეხის შედგმას. ჩვენ ეს გვაწუხებს, გვაღონებს და გვაღალადებს, რომ ასე არ იყოს.

იქნება იფიქროს ვინმემ, და ბ-ნ დ. მიქელაძეც ვგონებთ ამ აზრისაა, რომ დიდის მნიშვნელობის საქმეები თუ არ იქნება, წვრილს არ მიუდგებიანო. ეს ასე არ არის. კაცის სულის თვისებაა, თუ ღონე აქვს, გამოიჩენს, რაც უნდა მცირე ასპარეზი იყოს. ამისათვის ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს ჩვეულება გვაკლია. მეორედაც, დიდის საქმის გაკეთება ვერას დროს ვერ შეუძლიან ადამიანთა ჯგუფს, კრებას, თუ წვრილ საქმეში მოღვაწეობას არ არის გაწვრთნილი, გამოცდილი, გავარჯიშებული და განვითარებული. ნათქვამია, დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო. დიდ საქმეს მრავალი წვრილი საქმე უდევს ასასრულებელი. თუ კაცი ვარჯიშობით გაოსტატებული არ არის, ყოველ მცირე დაბრკოლებას შეუძლიან სულ დავთრები აურიოს და გამოუცდელი, გაუვარჯიშებელი, დიდის საქმის მიმყოლი გავარჯიშებულმა, გამოცდილმა ცხრაჯერ მწყურვალე წყალზე ჩაიყვანოს და მწყურვალევე ამოიყვანოს. გამოცდილი და გაოსტატებული გაჭირებაში გზას იპოვის და გაცრუებული, მოღორებული არ დარჩება.

თითონ ბ-ნი დავ. მიქელაძე ამბობს: ისეთი დაწესებულება არ მოიპოვება, რომ ყველა „სულიერი და ხორციელი" საჭიროება დააკმაყოფილოსო. დიაღ, მრავალ გვარია მოღვაწეობა საზოგადოებისა და იმათში დიდი და პატარა საქმე ერთმანეთზეა გადაბმული, მიმდევარი, დაკავშირებული. როდის, რა სიტყვით გამოვთქვით, რომ სამრევლო მზრუნველობას შეეძლოს ყოველ გვარის საჭიროების დაკმაყოფილება. „სულიერი და ხორციელი" საჭიროება რომ ვახსენეთ, განა ისა ვთქვით, რომ მთლად ყოველი საჭიროება ვიგულისხმოთ. გაზეთადება ამასა ჰქვიან, აი! დაგვცინის-კი: „ძალიან მიჭირს ამისი დაჯერება, რომ ჩვენის ერის სულიერისა და ხორციელის საჭიროების დაკმაყოფილება იტვირთოს ან სოლოლაკის სამრევლო მზრუნველობამ, ან თვით ახლად არჩეულმა მზრუნველმაო", (თითქოს მარტო იმათზე იყოს ლაპარაკი და არა მთელ ტფილისის სამრევლოებზე). ამისი პასუხი თვით ჩვენს წინა წერილებშია და ნულარ გავიმეორებთ. მხოლოდ მოვიხსენებთ, რომ სკოლა და ღარიბთა ხელის გამართვა ვგონებთ „სულიერისა და ხორციელის" საჭიროების საგანი იყოს და ვერავინა სთქვას ამაზე, არაო.

ბ-ნი დავ. მიქელაძე ამბობს: „ყოველ ხალხს და ნამეტურ ქართველს მრავალი სხვა საჭიროება და საშუალება აქვს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და აი სად უნდა იყოს მიმართული მწერლის აზრი და თვალიო". დიახაც მრავალია, და განა ჩვენი მწერლობა მართლა თავის ღონისძიების დაგვარად, რამდენათაც ხელი გაუწვდება, ამ საჭიროებას აზრსა და თვალს არ ადევნებს? განა ჩვენი მწერლობა შეძლების დაგვარად არ მეცადინეობს ყოველ საჭირო მოღვაწეობაზე თავისი აზრი და თვალი დააკვიროს. აკვირვებს, დიაღ აკვირდება, მაგრამ მწერლობა ხომ ყოვლად შემძლებელი არ არის, რომ საზოგადო მოქმედება თავის სიტყვით შეჰქმნას. მწერლობა ცდილობს აზრი გამოსთქვას სიტყვით თვალის ასახილებლად მოქმედება თვით მკითხველ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. თუ ეს მოქმედება ნაკლებად არის, ეს უნდა აღნიშნოს, და აი, ეხლაც ამაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, როდესაც სამრევლო მზრუნველობას შევეხეთ.

ტფილისის ქართველობის ყოფა გვაღონებდა. აღიძრა ლაპარაკი სამრევლო მზრუნველობაზე. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ამ დაწესებულებაში შეუძლიან ქართველობამ თავი მოიყაროს და თავის სამრევლო სულიერსა და ხორციელს საქმეებს გაუძღვეს, აავარჯიშოს თავისი კეთილი გული და გონება. ეს დაწესებულება კარგის ყურადღებისა, თანაგრძნობისა და ხელის გამართვის ღირსია. სამრევლო დიდი საზოგადო კრებაა, რომელშიაც შეიყრება სამღვდელო და ერი, თავადი და გლეხი, ვაჭარი და ხელოსანი, სწავლული და უსწავლელი, მდიდარი და ღარიბი, ერთის სიტყვით ყველა, ხარისხისა და წოდების გაურჩევლად. ნუ თუ ამას მნიშვნელობა არა აქვს ჩვენის ტფილისის ანუ სხვა ადგილის ქართველობისათვის?

დროა ჰკუა ვისწავლოთ და ხელიდამ არ გაუშვათ, რაც დროს საკეთილო მოაქვს.

ა.

# ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, 9 თიბათვეს, ქართულს თეატრში წარმოადგინეს თათრულად ეხლა-ხან გადათარგმნილი პიესა ანტონოვისა „ქოროღლი", ოთხ-მოქმედებიანი კომედია. წარმოდგენაზედ ხალხი მაგდენი არავინ დაესწრო, უმეტესობა-კი სპარსელობა იყო. წარმოდგენის დაწყებისას ფარდა აიხადა და სცენაზედ ყვავილებში იდგა სურათი სპარსეთის შაჰისა. სურათს აქეთ-იქიდგან უდგნენ წარმოდგენაში მონაწილენი და მომღერალ-მემუსიკენი და იგალობეს სპარსული საერო საგალობელი. შემდეგ წარმოდგენა დაიწყო. წარმოდგენას, როგორც პირველს ნაბიჯს, არა უჭირდა-რა, კარგად თამაშობდნენ თავისს როლებს ჯაფარ-ფაშა, ქოროღლი და გულნარა. ქალების როლებს კაცები თამაშობდნენ, მოთამაშეთ მხოლოდ ერთი ქალი ეშოვნათ სცენაზე გამოსაყვანად, ისიც სომეხი, რომელსაც გულნარას როლი ჰქონდა. საზოგადოდ, წარმოდგენაში სომხები ბევრნი იღებდნენ მონაწილეობას. საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა ბოლომდე წარმოდგენა. წარმოდგენის შემდეგ ლეკური იქმნა გამართული. სასურველია, რომ ტფილისის მუსულმანობა ამაზედ არ შემდგარიყოს, თავი არ დაენებებინოს ამ სასარგებლო საქმისათვის და კვლავ განევრძოს.

*** როგორც შევიტყვეთ, ბ-ნს როინაშვილს, რომელსაც მოსკოვში ჰქონდა გამართული მუზეი და ფოტოგრაფია, საბოლოოდ განუზრახავს ჩვენს ქალაქში დარჩენა, დაუქირავებია კიდეც თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ ხარაზოვის სახლი, სადაც წინად ბარკანოვსა ჰქონდა გამართული ფოტოგრაფია, და აკეთებინებს. ამას შემდეგ ბ-ნი როინაშვილი აპირობს მოსკოვში წავიდეს და ჩამოიტანოს მუზეი და ფოტოგრაფიის მოწყობილობა. როინაშვილს სურათის გადასაღები მანქანები სულ ახლები შეუძენია და ამას გარდა დიდ-ძალი სურათები და სახეები აქვს თურმე გადაღებული სხვა-და-სხვა ქვეყნისა. როინაშვილის ფოტოგრაფია და მუზეი თხუთმეტ აგვისტოსთვის მზად იქნება თურმე.

*** დღეს, კვირას, ტფილისში მოელიან მთავარ-მართებელს კავკასიისას თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვს.

*** ქალაქის თავი ცალკე ბარათით აცნობებს ბ-ნ ხმოსანთ, რომ 12 ივნისისათვის, ორშაბათს, დანიშნულია საბჭოს კრება ზოგიერთ გადაუდებელ საქმეთა განსახილველადაო. ამ კრებაზე უეჭველად საჭიროა დაესწროს ოცდა-თექვსმეტი ხმოსანიო.

*** ათს ამ თთვისას, დილის ათს საათზე, მეცხრე განყოფილებაში, ელისაბედის ქუჩაზე, ლეკონტის სახლში, შემდეგი უბედურება შეემთხვა ექიმს კარლოს ექვთიმეს ძეს დომონსკის. დომონსკისთან დილით მივიდა ვიღაც აბდულ-ჰუსეინ-ალი-ოღლი და ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ამ კაცმა უეცრივ ამოიღო ჯიბიდგან დანა და დასჭრა ექიმი დომონსკი სამს ადგილას. ამას შემდეგ აბდულ-ჰუსეინი გაიქცა და დაიმალა. ექიმი დომონსკი სამკურნალოში გაგზავნეს; სუბუქად არის დაჭრილი. დამნაშავეს დაეძებენ.

*** როგორც გვატყობინებენ, რკინის გზის მღვდელს მამა ნანობაშვილს განუზრახავს, რომ ბაქოსა და ხაშურის სადგურზედაც გაჰმართოს, მრევლის დახმარებით, ისეთივე პირველ-დაწყებითი სკოლა, როგორიც წელს გაჰმართა ტფილისის სადგურზე ღარიბ მოხელეთა შვილების სასწავლებლად. გარდა ამისა მამა ნანობაშვილი აპირობს თურმე კვირა-უქმე დღეებში შესაფერი ქადაგება უთხრას ხოლმე ხალხს და ამით ცოტათი მაინც გაართოს უსწავლელი მოხელენი რკინის გზისა, რომელნიც ბედნიერს დღეს უამისოთ უეჭველად დუქნებსა და სააფხნო ადგილებში ატარებენ.

*** გიგო აკოფოვი, რომელიც დიდს მონაწილეობას იღებდა ბ-ნ გოგებაშვილის გაქურდვაში და რომელსაც ეძებდა პოლიცია, უკვე დაჭერილია და ციხეში ჩასმული. იმას გარდა ამ დღეებში დაიჭირეს სხვა მონაწილენიც: ერთი ოქრომჭედელი, ერთი ხარაზი და ერთი ბაყალი. პოლიცია ახლა ეძებს ვანო იორამაშვილს, რომელსაც დიდი მონაწილეობა მიუღია იმ ქურდობაში.

*** სოფ. კასპში: კასპელები ამ ორის თთვის წინად აგვალაპარაკა ერთმა სამწუხარო ამბავმა, რომელმაც გაუბედურა ერთის პატიოსანის გლეხის ოჯახი და სამუდამოდ სახელი გაუტეხა ერთს აქაურს თავადს. აი თვით ეს ამბავიც: კასპში სცხოვრობს ერთი გლეხი, გაბო ნინიაშვილი, რომელიც ოჯახს პატიოსნად ინახავდა და დღევანდლამდე ტკბილად და უვნებლად სცხოვრობდა. დღეს-კი ეს გლეხი ისე დაჩაგრული და დაჯავრიანებულია, რომ კაცი ვერ იცნობს, სახლიდგან თავი ვერ გამოუყვია. ამ ნინიაშვილს ჰყავს მეტად ლამაზი გასათხოვარი ქა-

---

მოთიევე საწამლავი დაელია. მაპატიეთ, ასე უკეთესია იმისთვის, წამოილულლულა უკანასკნელად ელენემ, გადიხარა თავი ბავშვისკენ და გამოესალმა წუთი-სოფელს. მაგიდაზე მდგომ ჭიქის ქვეშ იპოვეს წერილი ანნასთან მიწერილი:

— აღასრულე შენი აღთქმა, შეიფარე ჩემი შვილი! მიეცი ბინა, რომელიც არც მე მქონდა და არც იმისთვის შემეძლო დამეტოვებინა... მე ღარიბი... შერცხვენილი ვშორდები წუთი-სოფელს. ელენე...

II

— ეხლა რა უნდა ვუყო? იმეორებდა ანნა, მეორე დღეს როცა მარიამმა გადასცა ელენეს წერილი.

— როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, სწორედ, რომ ვერაფერი სიკეთე მიყო თქვენმა მეგობარმა. ჩემს სახლში ამ გვარი შემთხვევა ჯერ არ მომხდარა .. მაგრამ ბავშვზე რას ბრძანებთ!

— სწორედ რომ არ ვიცი..

— რა არის აქ საცოდნელი, ქალბატონო, მართალი რომ ვსთქვათ, ბავშვი რა დამნაშავეა! განა იგი მშობლების ცოდვის მოპასუხეა? არა, ჩემო ბატონო! იგი ღვთის შვილია! თქვენ აღსთქვით მისი აყვანა და დიდი ცოდვა იქნება.

— არა-და! ეს ისე მალე.. უცებ მოხდა, რომ სწორედ შეუძლებელია

— სიკვდილი განა აღოდინებს ვისმე? რას იზამთ! სხვის დაუკითხავად გამოესალმა უბედური წუთი-სოფელს, ალბად ფიქრობდა, რომ ამ გვარად უფრო უკეთესს ბედს სწევდა თავისს ბავშვს. თავს ტყუილად არიდებთ ღვთის შვილს... დიდი, დიდი ცოდვაა!

— არა, რომ არ შეიძლება ასეთი ძალად მაცხონობა! მერე ჩემი ქმარი დამთანხმდება?

ქმარი დასთანხმდა იმ პირობით, რომ დრომდე ბებია მარიამთან დარჩენილიყო „ღვთის შვილი". პატარა კოტე, ყოვლად უმეცარი თავის ყოფა-მდგომარეობისა, დაბინავდა ბებია მარიამის პატარა ოჯახში. იგი მოურიდებლად ჰკიოდა, ჰყვიროდა, როცა-კი რაიმე მოუნდებოდა. ბებიაც დაუყოვნებლივ ყოველიფერს უსრულებდა ბავშვს... ბავშვი ხარობდა და სიამოვნებდა, რომ მისი ყოველივე წვრილმანი სურვილი სწრაფ სრულდებოდა... ის-კი არ იცოდა, უბედურმა, რომ თავის დაბადებით მოკლა ჯან-ღონით სავსე, მომავალის იმედით გასმჭვალული დედა... „ღვთის შვილი" მეტის-მეტი ლამაზი და ფუნჩულა დადგა, იმის მთვარესავით გაბადრულ სახეს ერთი-ორად ამშვენებდა შავი, დიდრონი თვალები, დედის თვალების მსგავსი. სიცოცხლით სავსე ბავშვი ერთ წუთს არ ისვენებდა, იგი სულ ხტოდა, ჰბობღავდა, იცინოდა, ჰყვიროდა, ხმაურობდა... ბებიას ისე ვერ დაინახავდა ხოლმე კოტე, რომ მუნჯის მაგვარ ცმუკვა-ნიშნებით თავისი სიამოვნება არ განეცხადებინა. როცა-კი ბებია ხელში აიყვანდა კოტეს, მაშინ ხომ იმის სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. შე, კატუნიავ, შენა? განა შეიძლება ადამიანმა არ შეგიყვაროსო? უალერსებდა ხოლმე ბებია და მართლა რომ შეიყვარა კიდეც პატარა „ღვთის შვილი"... ორ წლამდე დარჩა კოტე ბებიასთან. ტერბინები არამც თუ შესანახს ფულს არ უმატებდნენ, იმ ორიოდე გროშსაც, რასაც დაჰპირდნენ, ბებია ჩხუბითა და დავიდარაბით ძლივს ართმევდა... ბავშვი შესაფერად წამოიზარდა. ეხლა სულ სხვა გვარი ყურის გდება უნდოდა. ბებია თავის საქმეზე დადიოდა, მოახლეს თავისი საქმე ჰქონდა და ბავშვი უპატრონოდ რჩებოდა მარტო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ყოველ დღე ბავშვი ან თავს გაიტეხდა ხოლმე, ან კოპს დაისვამდა შუბლზე, ან ქალალდსა და წიგნებს დახევდა და ჭურჭელს ამტვრევდა.

— სწორედ თავი მომაბეზრა ამ ღვთის შვილმა, იმეორებდა მარიამი: მერე რა გიყო, შე საცოდავო? ამაზე არა ერთხელ უფიქრია ბებიას. კარგა ხნის შემდეგ ძლივს გადასწყვიტა მარიამმა ბავშვის პატრონებთან წაყვანა. მართალია, ძლიერ ემძიმებოდა გულ-კეთილ ბებიას კოტეს მოშორება, ჩუმად არა ერთი და ორი ცრემლი დაჰღვარა კიდეც ამ გადაწყვეტილების შესრულებამდე, მაგრამ მეტი საშველი ვერა იღონა-რა... ერთს მშვენიერს დღეს ბებიამ ბავშვი მორთო, იმისი ბარგი ბოღჩაში შეჰკრა, ჩაისვა ეტლში და გასწია ტერბინებისკენ.

— სტუმრად მივალთ, ბები? ჰკითხა ბავშვმა გზაზე.

— ჰო! სტუმრად მივალთ, ჩემო კარგო!

III

ტერბინების სახლ წინ აუარებელი ათას გვარად აჭრელებული ეტლი იდგა. თვით სასახლეც არა-ჩვეულებრივად იყო გაჩაღებული, როცა ბებია მარიამის დაძაბუნებული ეტლი ტერბინების შესავალ კართან დადგა.

— სად მიხვალთ? არავის იღებენ! გადაეღობა წინ მარიამს მეკარე.

— მე მიმიღებენ, შენ ფიქრი ნუ გაქვს! მარიამმა ყური არ ათხოვა მეკარის უბედობას, აიყვანა ბავშვი ხელში და შესდგა ფეხი კიბეზე.

— თქვენ არ გესმით, რომ არ შეიძლება? ბატონებს სტუმრები ჰყავთ.

— ცოტა მოითმინეთ, თუ შეიძლება, მიაყოლა ოთახიდამ ახლად გამოსულმა მსახურმა, რომელმაც იცნო მარიამი: მოითმინეთ ცოტა აქ. მე ეხლავ მოვახსენებ და უეჭველია მიგიღებენ! მოითმინეთ... მარიამმა არც ამ მსახურის სიტყვას ათხოვა ყური. სიტყვით რომ ვერა გააწყეს-რა, მსახურები წინ გადაეღობნენ მარიამს. ბებია მაინც არ შესდგა, იგი ამაყად მიდიოდა ხალიჩებით დაგებულს კიბეზე. გაიარა რამდენიმე მდიდრულად მორთული ოთახი და შევიდა საუცხოოდ მოკაზმულს დარბაზში, სადაც ათას ფერად აჭრელებულს სტუმარს მოეყარა თავი. კარებში ბებია ცოტა შესდგა და გადაავლო თვალი სტუმრებს. დიასახლისმა იცნო და პირდაპირ იმისაკენ გასწია...

— აი, თქვენი, ჩემო ბატონო, ღვთისაგან მოცემული ბავშვი. მეყო ამისი ლოლიაობა, ახლა თქვენი ჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, რომელიც ერთს ახალგაზდა თავადს ძალიან მოეწონა. იმ გლეხის ოჯახი იმდენად პატიოსანი და ისე დაცული იყო, რომ თავადმა თავისი წადილი ვერ შეისრულა, მაგრამ თავის განზრახვაზე ხელი მაინც არ აიღო. ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, არ ვიცით, ხოლო შემდეგი ოსტატობა-კი იხმარა: გადასწყვიტა იმ ქალის შერთვა და გლეხს მოციქული გაუგზავნა: შენი ქალი მომწონს და მომათხოვეო. გლეხმა ძალიან გაიოცა ეს ამბავი, სად ჩემი ქალი და სად თავადიშვილიო, და შემდეგ შეუთვალა: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, სად თქვენ, სად მე, ვერა, ჩემს ქალს ვერ მოგცემ, ჩემს ტოლსა და ამხანაგს უნდა მივათხოვოვო. გავიდა დრო და ჟამი, მაგრამ თავადს ის ბინძური გულის წადილი მოსვენებას არ აძლევდა. ხელახლავ მიუგზავნა კაცი გლეხს და ქალი ხელ-მეორედ სთხოვა. როგორც იყო გლეხი დაჰყაბულდა, ხოლო შემდეგის პირობით-კი: მინამ ჯვარს არ დაიწერ, ჩემს ქალს არ დაგანახვებო. სასიძოც დასთანხმდა. გაიმართა ნიშნობა, მაგრამ ქალი მაინც არ აჩვენეს. თავადმა დაინახა, რომ საქმე იმის სურვილისამებრ არ მიდიოდა, და გამოუცხადა სასიმამროსა და სასიდედროს: ქალაქს წავიდეთ, ვიყიდოთ ყველაფერი, მეც ოციოდე თუმანი მომეცით მზითვის ფულიდგან, დავბრუნდეთ და საკვირაცხოვლოდ ჯვარს დავიწეროთ. ისინიც დასთანხმდნენ. როცა ქალაქიდგან დაბრუნდნენ, სასიძომ ხშირად სიარული დაიწყო სიმამრ-სიდედრთან და ბოლოს საცოლოსაც ისე დაუახლოვდა, თითქო ჯვარ-დაწერილნი ყოფილიყვნენ. მოატანა კვირაცხოვლობამაც, მაგრამ, ჯვარის დაწერის მაგივრად, თავადმა ზემო-ქართლში ამოჰყო თავი. ამ სახით ქალიც გაუპატიურა და იმისი ოჯახიც გააუბედურა. მას აქეთ გავიდა ორიოდე თთვე და მხოლოდ ეხლა-ხან გამოჩნდა სახელ-გატეხილი თავადი.

*** **იქიდამვე:** საცა არის კასპელებიც ეღირსებით სკოლას: შენობას უკვე ამზადებენ. ღვთისა და დურგალ-კალატოზის წყალობით, შენობას გაათავებენ ამ ზაფხულს და ენკენისთვის დამდეგს სწავლაც დაიწყება.

*** **წინამხარი:** წინამხარში ქურდობა-ავაზაკობისა არა ისმის-რა. მთავრობამ ჩააგონა სოფლელებს ორღობეების გაფართოება და ქვიშით მოკირწყვლა. მოქრთამეობაც შემცირდა. ამ ენკენისთვისათვის ერთი სკოლა კიდევ შეგვეძინება, სახელდობრ სოფ. ბაკურციხეში.

*** **ცხინვალი:** ჩვენს არე მარეში მრავალი უწესოება და ავ-კაცობა ჰხდება. როგორც უკვე გაცნობეთ, თითქმის ერთსა და იმავე დროს ორი ეკკლესია გასტეხეს და გაძარცვეს. ამას შემდეგ არ გასულა სამი დღეც და ერთს ნიქოზის გლეხს დაკეტილის საბძლიდგან მოჰპარეს კვიციანი ცხენი. ამას წინადვე გასტეხეს ორი საბძელი იქვე ნიქოზში და შიგ რაც რომ იპოებოდა, წაიღეს, სახელდობრ: პური, ქერი და ავეჯეულობა. ამ გვარი შემთხვევა ჩვენში ხშირია, მაგრამ ვინ არის პატრონი. ამ სოფლების ბოქაულს ბინა ხელთუბანში აქვს, ორმოცის ვერსის სიშორეზე, ორს ლიახვს გაღმა. იმავე ტაფაში იწვიან დირბელები და სხვა სოფლებიც, რომლებიც ბოქაულის ბინას მოშორებულნი არიან. რასაკვირველია, ეს გარემოება ხელს უმართავს ავაზაკობას, რადგანაც სანამ ბოქაული რასმე შეიტყობდეს, ავაზაკებს შეუძლიანთ მთელი სოფელი აიკლონ. ან როგორ უნდა შეატყობინოს სოფლელმა თავისი უბედურება ბოქაულს, როცა ორმოცი და ორმოც-და-ათი ვერსი უნდა გაიაროს და ორს ლიახვს უნდა გაიდეს.

*** მერვე განყოფილებაში ტფილისის მაზრის გლეხი გიორგი მათიაშვილი გაუფრთხილებლობის გამო ჩავარდა მტკვარში. იმის ყვირილზე მოვარდა ტფილისის ვაჭარი იაგორ დოლანოვი, წყალში ჩავარდნილს თან გადაჰყვა და დარჩობას გადაარჩინა მათიაშვილი.

*** მიხეილის ქუჩაზე ტფილისის მოქალაქის ორის წლის ასული მარიამი ქვეშ მოჰყვა ფურგუნს. ბავშვი სასიკვდილოდ დაშავდა. გამოძიება სწარმოებს.

*** 9-ს ამ თთვისას, მეორე განყოფილებაში, კრუზენშტერნის ქუჩაზე, ბალდოვის სახლის წინ, ვიღაცას მიუგდია ახლად დაბადებული ბავშვი მამათა სქესისა. ბავშვი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

*** იმავე დღეს ახანოვის მახლობლად ბაკაშვილის სარისკიპო სახლის აივნიდგან გადმოვარდა სიმთვრალეში ამ სახლში მდგომი დედაკაცი ანნა ტკაჩენკოსი. ქალმა დაიშავა გვერდი და გულის ფიცარი. დაშავებული სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

## პროვინციელის საკბილო

(ხუმრობა და შენიშვნა)

ძლივს ღმერთმა გვიბრალა და ერთხელაც იყო ჩვენც გადმოგვხედა მოწყალის თვალით! ძლივს გადურჩა ქვეყანა ჩვენს ყვედრებასა და წუწუნს! „ივერიამ“ (№ 107) გვაცნობა, რომ, საცა არის, ორი ახალი გრამატიკა გვექნება ქართველებსაო. ერთს აბეჭდვინებს ბ-ნი არ. ქუთათელაძე და მეორეს—ბ-ნი თ. ქორდანიაო. რასაკვირველია, რომ ეს სასიამოვნო ახალი ამბავია და სწორეთ სასიამოვნო ამბავთა შორის დაუთმე მეც ადგილი ჩემს საზეპირო დღიურში. იმედია, ჩემთან ერთად მთელი მკითხველი საზოგადოება სიამოვნებითა და სიხარულით ეგებება ამ ამბავს. ხოლო რადგანაც სიხარული სიხარულთან სჯობია და სიამოვნება სიამოვნებასთან არის მოხერხებული, ნება მიბოძეთ ამ სასიამოვნო ამბავს ზედ უახლესი და ორ-კეცად სასიხარულო ამბავი დავამატო და გაცნობოთ. ეს ის ამბავი გახლავსთ, რომ მალე, ძალიან მალე ჩვენ, გარდა ზემოხსენებულის ორის გრამატიკისა, გვექნება ორჯელ ორი გრამატიკა. ხოლო სულ, ძველები რომ არ ჩავაგდოთ ანგარიშში, გვექნება ორჯელ ორი და კიდევ ორი, ესე იგი ექვსი გრამატიკა. გესმისთ, ექვსი გრამატიკა!!! „ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“. ეხლა ნუ თუ იმდენათ ცნობის-მოყვარე არა ბრძანდებით და არ იკითხავთ, თუ ვინ არიან შემდგენელნი ამ ჩემ მიერ დასახელებულ ოთხის გრამატიკისა? მე ეჭვი არა მაქვს, რომ ამას მკითხავთ, და რომ არც მკითხოთ, განა ისეთი სულელი ვარ, ჩემი დაწყებული ამბავი დაუსრულებელ-დაუსაბუთებელი დავსტოვო! არასოდეს აბა, მოამზადეთ სასმენელნი სმენად და მე სრულიად მზათა ვარ თქმად.

ერთი გრამატიკა, როგორც ნამდვილად ვიცი, შედგენილი აქვს ბ-ნ ა—ლს ო—ის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, რომელსაც არც ერთი ჩვენი გრამატიკა არ მოსვლია თურმე ჭკუაში და მხოლოთ მის მიერ შედგენილ გრამატიკით ხელმძღვანელობს ხსენებულს სასწავლებელში. ეს ერთი. მეორე გრამატიკა კარგა ხანია მას აქეთ, რაც ბ-ნმა მ. ნ—ძემ დაგვპირდა და აქამდე, უეჭველია, მოსრულებული ექნება და გამოსცემს. როცა აპირებდა გრამატიკის შედგენას, ეს თავის დროზე გაზეთის საშუალებით გამოაცხადა და ეხლა საქვეყნოდ გამოცხადებულს და დაპირებულს ხომ ვერ „უატკაზებს“! მაშ ეს ორი. მესამე გრამატიკას, ყველაფრით სრულს, უნაკლულოს და წუნ-დაუდებელს, შეადგენს ბ-ნი სილოვ. ხუნდაძე, რომელმაც ქუთათელაძეს გრამატიკაში იმდენი შეცდომა მონახა, იმდენს წუნს მიაგნო. ეს ხომ სამი. აბა რა საკადრისი იქნება, სადაც ამდენი გრამატიკა გვექნება, სადაც ამდენი გრამატიკოსები გვეყოლება, იქ ბ-ნი ი. გოგებაშვილმა, რომელმაც პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობით დიდი სახელი მოიხვეჭა და მრავალი სახელმძღვანელო შეგვიდგინა, ერთი გრამატიკა მისდა ნახელავად არ გვაჩუქოს ქართველობას! ამ ნაირად, როგორც უკვე ვსთქვი, გარდა ქუთათელაძისა და ქორდანიას გრამატიკისა, მალე გვექნება ოთხი გრამატიკა. ეს ამბავი რომ გამართლდება, ამას მალე დაინახავს ქვეყანა. ხოლო თუ (რადგანაც ქვეყანა ფათერაკიანი და სათუოა, „თუ“ აქ იმიტომ ვიხმარეთ, თორემ სათუო აქ რა არის?!) ეს ასრულდა, მაშინ სრულიად გასაკვირველი არ იქნება, რომ ერთი გრამატიკა ბ-ნმა სანდალამ შეუდგინოს თავის „ძმა-ბიჭებს“. ერთი გრამატიკა ბ-ნმა ვ. გუნიამ გამოსცეს თავის კალენდართან ერთად, რომ მკითხველებს შეეძლოთ გაგება იმის მართლ-წერისა და მართლ-შეთხზვის კანონისა. ხოლო დასასრულ „მწყემსის“ რედაქციაც არ დარჩება ისე უმადური, რომ თავის სასულიერო გაზეთთან სასულიერო გრამატიკაც არ მოგვაწოდოს.

ასე და ამ ნაირად არა თუ ექვსი გრამატიკა გვექნება, არამედ ცხრა და მთელი ქართველობა დაიყოფებით ცხრა დასად (აქ რასაკვირველია, აშორდია და იმისი მეგრული გრამატიკა ანგარიშში მოსატანი არ არის), ისე, როგორც ანგელოზები არიან დაყოფილი ცხრა გუნდად, და მაშინ უნდა უყუროთ სეირს! თითოეული დასი თავისის გრამატიკის ქებას დაიწყებს და სხვისას-კი ჰკიცხავს და აძაგებს. შეიქნება ერთი კრიტიკისა და ანტიკრიტიკის წერა, შენიშვნისა და შენიშვნის შენიშვნების რახა-რუხი. ამ შემთხვევაში, როგორც სხვა ყველაფერში, ბურთი და მოედანი, რასაკვირველია, ბ-ნ სანდალას დარჩება. მარტო ეს ვაჟბატონი გააფასებს ყველა ჩვენს გრამატიკას და გრამატიკოსებს, მაგრამ ბალა ის იქნება, რომ ერთად-ერთი რედაქციაა გაზეთ „ივერიისა“ და სად აუვა ამდენის შენიშვნებისა და კრიტიკების წერას! რამე სხვა საშუალება უნდა მოვიფიქროთ, სხვა ხერხი უნდა მოვსძებნოთ, სხვა ღონე უნდა ვიღონოთ. იცით რა? მე ამ თავითვე მინდა ზომიერად დავიჭირო თავი და არც ერთს დასს მივემხრო და არც მეორეს. ხოლო რაკი ეს დასი ერთი მეორეს ეხება, ერთი მეორეზე იერიშს მიიტანს, რაკი ასტყდება ნიაღვარი მოედნისა და ბრძოლის ველზედ, გამოელენ კალმით აღჭურვილნი მეომარნი, მაგრამ რაკი შედეგი იმათის ბრძოლისა საზოგადოებას შეუტყობელი ექნება გაზეთში ადგილის უქონლობის გამო, აი, იმ დროს მე ახალის გაზეთით, რომელსაც უნდა დავარქვა „საგრამატიკო ბრძოლის ველი“, გამოვინავარდებ წინაშე ბრაზ-მორეულ მეომართა და შორიდამ ვუჯეთქებ ჩემს გაზეთს. ამ შემთხვევაში, ეგონებ, ხეირიცა ენახო და სეირიც. დიაღ, ერთსაცა ენახავ და მეორესაც, რადგანაც, რომ მარტო გრამატიკოსები და იმათი ჰამქრები

---

რია... სთქვა და წამოაყენა წინ თავის კაბის კალთებში შეხვეული შემკრთალი ბავშვი... ირგვლივ უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაოცა, გააშტერა მოულოდნელმა ამბავმა. მცირე სიჩუმის შემდეგ სტუმართ შორის გაისმა: რა მშვენიერებაა! რა საუცხოვო ბავშვია! ათის წამის შემდეგ ყველაფერი გამოირკვა. თვით დიასახლისმა უამბო სტუმრებს კოტეს ამბავი: არ შემეძლო არ ამეყვანო; დედა მოუკვდა! მერე რა საზარლად-და? მამას ხომ სად იპოვნი. ღვთის შვილია და მე და ჩემმა ქმარმა გადავსწყვიტეთ იმისი შენახვა და აღზრდა. ბებია მარიამთან მხოლოდ დროებით იყო... დააბოლოვა ლაპარაკი დიასახლისმა.

სწორედ, რომ საუცხოვო დრო იხელთა მარიამმა. ყველა ეალერსებოდა, ელოლიავებოდა ბავშვს. სწორედ რომ ღვთის შვილიაო, იმეორებდნენ სტუმრები: ამისი თვალები რაფაელის ანგელოზის თვალებს წააგავს. მკვირცხლი, გამბედავი კოტე როგორღაც ჩაჩუმდა, მოიბუზა და რაღაც ეჭვით შესცქეროდა მდიდრულად მოკაზმულ ხალხს. იმან თითქო იგრძნო, რომ ეს მდიდრული მორთულობა, ეს მაღლა მაცქერალი ხალხი ვერაფერს სიკეთეს მოუტანდნენ, და ძალაზე ეკვრებოდა ბებიას. ბევრ გვარის ალერს ფოლორცობით სცდილობდნენ სტუმარ-მასპინძელნი, რომ ბავშვი მოეშორებინათ ბებიისათვის, დაევიწყებინათ იგი, მაგრამ წამიერ გატაცებული ბავშვი კვლავ ბებიისაკენ გარბოდა. ტკბილეულობა-სათამაშოებით გატაცებულმა კოტემ უცებ შენიშნა, რომ ბებია გვერდით აღარა ჰყავნდა და მორთო საშინელი ყვირილი. ეძახოდა ბებიას და იწევდა იმისკენ, მაგრამ ამაოდ... უბედურ ღვთის შვილს ამ მცირე ქვეყნად ყოფნაში ეს მეორედ სტოვებდა უნუგეშოდ საყვარელი ადამიანი. მართალია, შინ ბებიაც ხშირად დასტოვებდა ხოლმე მარტო, მაგრამ ბავშმა კარგად იცოდა, რომ იგი იქ თავის სახლში იყო, ამიტომ არც ტიროდა და არც ეძებდა ბებიას; იცოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ბებია დაბრუნდებოდა სახლში. აქ-კი სულ სხვა იყო... ამიტომ დაიწყო ბავშმა ასეთი ყვირილი და გულ-ამოსკვნით ტირილი. ბები, ბები, შინ მინდა, წამიყვა შინ... გაჰკიოდა იატაკზე გაშოტილი ბავშვი. პატარა კაცის გულ-ამოსკვნილი ტირილი სტუმრებს სიცილადაც არა ჰყოფნიდათ. ამოდენა ხალხში მხოლოდ ერთმა ქალმა, რომელსაც იმ ხანებში შვილი მოჰკვდომოდა, იგრძნო ბავშვის ტკივილი და გულ-შემოყრილი გადაესვენა სავარძელზე.

### IV

„ღვთის შვილი“ ახალ სახლშია და სულ სხვა ნაირად მოეწყო იმისი ცხოვრება. პირველ ხანში ხშირად იგონებდა ბებიას და ეხვეწებოდა ყველას, რომ შინ წამიყვანეთო. ბოლოს-კი თანდათან შეეჩვია ახალ პატრონებს.. ახალ პატარა ოთახს.

— ეს ჩემი ახალი სახლია, არა? ჰკითხავდა ხოლმე ხშირად მოახლეს, როცა-კი იგი აწვენდა დასაძინებლად.

— ოჰ! ჩემო კარგო! ამშვიდებდა მოახლე და თან-კი ჰფიქრობდა: განა სადა გაქვს სახლი, საწყალო ობოლო!

— შენ ჩემი დედა ხარ, არა? ჰკითხავდა ხოლმე კოტე ანნას: უეჭველია დედა ხარ... მე ძალიან მიყვარხარ! ბავშვს მართლა შეუყვარდა ანნა, მაგრამ ანნა-კი მაგრე რიგად არ იყო მადლობელი იმის სიყვარულისა. პირველში თუმცა ანნა ეალერსებოდა, ყველგან თან ატარებდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხში გაეგონა: მეტად კეთილი ქალია ანნაო! რა გვარად ეპყრობა სხვის შვილსა-და! სწორედ საუცხოვო დედაკაციაო!

პირვანდელი ალერსი სიძულვილად შესცვალა ანნამ. საშინლად შეიჯავრა და შეიძულა კოტე. ბავშვი მაინც თავისას არ იშლიდა და რაც შეეძლო, აბეზრებდა თავს დეიდას სხვა-და-სხვა კითხვა-ლაპარაკით... ბავშვი ისე შეეჩვია ანნას სახლს, რომ იმისი სახლი თავისი საკუთრება ეგონა და მესაკუთრესავითაც იქცეოდა. ამტვრევდა და აფუჭებდა, რასაც-კი ხელში მოიგდებდა ხოლმე. ერთის წლის შემდეგ, რაკი ბავშვი შესაფერად წამოიზარდა, ანნა შეუდგა ცდას, რომ როგორმე მოეშორებინა იგი თავიდამ... ეს ცდა ერთი-ორად უმატა, რაკი საკუთარი ბავშვი ეყოლა.

— რასაკვირველია, მე ყოველთვის მზადა ვარ შევეწიო სხვას, მაგრამ საკუთარს შვილს ხომ არ გადავაგდებ! ეს კოტე ისეთი ცელქი და გიჟია, რომ... ხომ გაგიგონიათ: „აყვავდა თხილი, დაისხა ხილი, როგორიც დედა, ისეთი შვილი...“ და სწორედ გითხრათ, იგი ვერაფერი ამხანაგია ბავშვისათვის. მაგრამ როგორ მოვიქცე? სად გავაგდო ოთხის წლის ბავშვი? იმართლებდა თავს ანნა ყველასთან... ხერხი მალე მოიგონა. სადღაც შორს დაბაში სცხოვრობდა მოხუცი დედაკაცი, რომელიც იმის ქმარს ენათესავებოდა. იმისი ქმარი ყოველ-წლივ ფულით შემწეობას აძლევდა ამ დედაკაცს: სწორედ საუცხოვო შემთხვევაა, რომ მოხუც აგრაფენას ცხოვრების შეღავათი მიეცეს. ამ ბავშვს იმას გადავცემ და იმის შესანახს ფულსაც თვე და თვე გავუგზავნი. გადასწყვიტა და მალეც აღასრულა ანნამ თავისი განზრახვა. საჩქაროდ დაიბარა აგრაფენა ანნამ და ყველაფერი გადასცა. აგრაფენა დაეცა ანნას წინ და მოჰყვა წუწუნს: განა საჭიროა, რომ მკითხავთ თანახმა ვარ, თუ არა? განა შემიძლიან ამ გვარ ბედნიერებაზე უარი ვსთქვა? გადასწყდა ობოლის კოტეს ბედი. ბავშვი მოამზადეს საგზაოდ. კოტემ იგრძნო, რომ აშორებენ შეჩვეულ კარ მიდამოს, აშორებენ იმას, რასაც იგი მიეჩვია, რაც შეუყვარდა, რაც თავის საკუთრებად მიაჩნდა, და სადღაც შორს ამგზავრებენ. ბავშვმა იგრძნო ეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაებღაუჭა თავისს საწოლს, დაიწყო გულ-საკლავი ტირილი და თან ჰყვიროდა: არ მინდა... არ მინდა... ძლივს აჰგლიჯეს ბავშვი საწოლს და ძალის ძალად ჩაუსვეს აგრაფენას ეტლში.

(დასასრული იქნება)

ჩავაგდო ანგარიშში, ხელის-მომწერი ბევრი მეყოლება. ამასთან მასალა ჩემს გაზეთს მუდამ „უანგარიშო, ულევი“ ექნება, რადგანაც აქედამვე ვიცი, რომ მოკამათეები ერთმანეთს არაფერს დაუთმობენ, არაფერს დაუჯერებენ, თავიანთს ახირებას არას გზით არ გადასთქმენ. არა, მე ვიმეორებ, რომ სეირიც იქნება და ხეირიცა-მეთქი!

ვიმეორებ, რომ დიდი საგრამატიკო ბრძოლა და შუღლი მოგველის ეს ბრძოლა, ხუმრობის გარეშე რომ ვსთქვათ, სასურველიცაა, რადგანაც ბრძოლის შემდეგ დავინახავთ ხოლმე თითოეულ მოპირისპირეთა სისუსტე სიმამაცეს და წუნ-ღირსებას. თორემ შენი მტერია, ამდენ სხვა-და-სხვა გრამატიკას თუ ყველას ბაზარი დაურჩა, ამდენი სხვა-და-სხვა გრამატიკოსები თუ ყველანი ნამდვილ გრამატიკოსებად იქმნენ აღიარებულნი!! ხომ ვიციო, მეცნიერს უთქვამს, რომ „თუ რომელსამე ქალაქში ბევრი მეკანონე და მკურნალია, ეგ იმისი უტყუარი ნიშანი იქნება, რომ ის ქალაქი ავად და ურიგოდ არის მოწყობილიო“. აი, ეს უნდა სთქვან ჩვენის ახირებისა და უთავბოლოობის წყალობით ჩვენს ენაზე, რომელიც, რომ ზოგიერთი ძალათ გრამატიკოსები თავს დაანებებდნენ, ძალიან კარგად არის მოწყობილი. მაგრამ ვინ რა უჯერა საწყალს ჩვენს ენას და იმის ნამდვილ კანონ-წესებს! ყველა გრამატიკოსმა უსათუოდ რაღაც თავისებური კანონი უნდა შემოიღოს, თავისებური წესი უნდა მოგვაჩჩროს ხელში. მაგალითად, ბ-ნს სილოვანს განუზრახავს საწყალს ჩვენს პიროვნობით ნაცვალ-სახელებს „მე“, „შენ“, „ჩვენ“ და „თქვენ“ პატივი აჰყაროს, ბრუნვათა არ-მქონე ნაცვალ-სახელებად აღიაროს. არ ვიცი რა დაუშავებია ამ ნაცვალ-სახელებს ბ-ნ სილოვანისათვის, რომ ამ უკანასკნელს იმათი ასეთი გალატაკება და გათახსირება მოჰსურვებია. ბ-ნი სილოვანი არწმუნებს არ. ქუთათელაძეს და, მაშასადამე, გვარწმუნებს ყველას, რომ ეს ნაცვალ-სახელნი არ იბრუნვიანო. რას ჰნიშნავს ეს არ იბრუნვიან? მე ვგონებ, ეს ჰნიშნავს იმას, რომ ამ ნაცვალ-სახელთ, გარდა სახელობითი ბრუნვისა, სხვა ბრუნვა არ მოეპოვებაო. ხოლო მართლა ასე უპოვარი და ღატაკი გამოდგა ეს ნაცვალ-სახელნი ჩვენს ენაში, რომ სახელობითის ბრუნვის მეტი არა დაურჩათ-რა? ძალიან კარგს იქმოდა ბ-ნი სილოვანი, რომ გავებედნიერებიეთ და ეცნობებია, თუ როდის დაჰკარგეს ამ ნაცვალ-სახელთა დანარჩენი ბრუნვები? ალა-მაჰმადხანის შემოსევის დროს ხომ არ უნდა მიეწეროს ეს უბედურება? ბ-ნი სილოვანი ამაზედ არაფერს გვეუბნება, არამედ ბრძანებს მხოლოდ, რომ ყოველი ჩემი შენიშვნა კანონიერად უნდა ჩაითვალოსო (იხ. „ივერია“ № 110). სილოვანი თხოულობს ხმა-ამოუღებლად დავემორჩილოთ ყველაფერში და მხოლოდ „точно такъ-съ, Ваше Высокоблагородіе“ მოვახსენოთ. სხვაში და სხვისი რა მოგახსენოთ და მე-კი არ შემიძლიან პირში წყალი ჩავიყენო და არ ვეურჩო ბ-ნ სილოვანის ბრძანებას შესახებ ზემოთქმულ ნაცვალ-სახელთა და მათის ბრუნვისა. აი რა საბუთით: თუ ნაცვალ-სახელნი „მე, შენ, ჩვენ და თქვენ“ არ იბრუნვიან, მაშასადამე, ვიმეორებ, გარდა სახელობითის ბრუნვისა, სხვა ბრუნვაში არ უნდა იხმარებოდნენ. მაგრამ, წინააღმდეგ ბ-ნ სილოვანის მოსაზრებისა, იხმარებიან-კი: მაგ., „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“. აქ შენ არის ნახმარი მიცემითს ბრუნვაში. ვის? — შენ. თუ-კი მიცემითს ბრუნვაში უხმარიათ და ხმარობენ ამ ნაცვალ-სახელთ, სხვა ბრუნვაში რაღა დაუშლიდა? რასაკვირველია, არაფერი, გარდა ბ-ნ სილოვანისა. ნათესაობითი ბრუნვა ამ ნაცვალ-სახელთა იქნება ჩემი, შენი, ჩვენი და თქვენი, რომლებიც ბ-ნს სილოვანს მარტო კუთვნილებით ნაცვალ-სახელთა სახელობითი ბრუნვა ჰგონია. მართალია, ამ ნაცვალ-სახელთა ნათესაობითი ბრუნვა სრულიად ჰგავს კუთვნილებით ნაცვალ-სახელთა სახელობითს ბრუნვას, მაგრამ ჰგავს არა აზრითა და მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ გარეგანის სახით. მაგ., შენი მეშინია, თქვენი მრცხვენია. აქ შენი და თქვენი ნამდვილად ნათესაობითი ბრუნვაა პიროვნობითის ნაცვალ სახელისა შენ, პირველს მაგალითში მხოლოობითს რიცხვში და მეორეში მრავლობითში. ხოლო რომ აქ სრულიად პიროვნებით ნაცვალ-სახელის სახელობითი ბრუნვა არ არის შენი და თქვენი, ამას ამტკიცებს ის მარტივი და ყველასათვის ცხადი გარემოება, რომ ზმნები: მრცხვენია, მეშინია ყოველთვის თხოულობენ დამატებით სიტყვებს ნათესაობითს ბრუნვაში. ამის დასამტკიცებლად დავანებოთ თავი ნაცვალ-სახელთ და ამ ზმნების შემდეგ ვიხმაროთ რომელიმე არსებითი სახელი: მაგალითებრ, სინიდისის მრცხვენია, სილოვანის მეშინია. ხოლო გაუწიოთ ხათრი ბ-ნ სილოვანს და მივყვეთ კარამდე. შევსცვალოთ სილოვანურად ეს ფრაზები, ე. ი. ამ ზმნებს შემდეგ ვიხმაროთ სახელობითი ბრუნვები და აი რა გამოვა: სინიდისი მრცხვენია, სილოვანი მეშინია. ნეტავი გვაცოდინა, ასე ვ-ნ ჰხმარობდა, ვინ ჰხმარობს და ვინ იხმარს ამ სიტყვებს? სილოვანი გვეუბნება, ასე უხმარიათ ჩვენს წინაპრებს და წადით და ჰკითხეთ, რატომ უქნიათ ესო. ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის წინაპრებთან გამგზავრება და იმათი შეკითხვა ამ საგანზედ, რადგანაც უიმისოდაც გვესმის და გვრწამს ეს ყველასათვის ცხადი და უცილობელი საგანი. ხოლო თუ ვისმეს წინაპრებთან გამგზავრება და შეკითხვა ესაჭიროება, ეს ისევ ბ-ნ სილოვანს, რადგანაც მხოლოდ იმას ვერ გაუგია, რომ ჩვენი პიროვნებითი ნაცვალ-სახელნი იბრუნვიან და ძალიან კარგადაც იბრუნვიან, ხოლო თუ ბ-ნმა სილოვანმა უარჰყო ეს და არ იწმუნა, ეს იმიტომ-რომ ვერ შეჰნიშნა უბრალო მსგავსება ამ ნაცვალ-სახელთა ნათესაობით ბრუნვისა სახელობით ბრუნვასთან კუთვნილებით ნაცვალ-სახელთა ჩემი, შენი, ჩვენი და თქვენი. სილოვანს ნება აქვს ეხლაც არ დაიჯეროს ეს, ეხლაც არ ირწმუნოს ეს მაგალითებით შუქ-მოფენილი აზრი, მაგრამ თავისი არ-რწმენა თავისთვის ჰქონდეს და ჩვენ ნუ გვიხდის კანონად. ასეა:

ვინც სასნავი უკუღმართად,
მრუდეთ ჰხნას და ჰთესოს, ჰფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.

დათიკო ვერმიცანაშვილი

---

# დეპეშა

10 ივნისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით აღდგენილ უნდა იქმნას მე-142 მუხლი ძირითადის კანონებისა. ამ მუხლის ძალით სამეფო გვარეულობის წევრს, მამათა სქესისას, რომელსაც მემკვიდრეობითი უფლება აქვს სამეფო ტახტი დაიჭიროს, შეუძლიან ჯვარი დაიწეროს სხვა სარწმუნოების ქალზე მხოლოდ მაშინ, თუ საცოლე მართლ-მადიდებლობას მიიღებს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივნისი.

| | მყიდველ. მან. კ. | გამყიდველ. მან. კ. | გაყიდულ. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 67 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 153½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა | 246 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 97 62 |
| ქუთაისის ბანკისა | 98 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | 84¼ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუღთ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

11 დღე კვირა. წმ. მოციქ. ბართოლომესი და ბარნაბასი, კათოლ. წმ. იერემიასი. სომეხ. დღესასწ. წმ. ეჩმიაძინისა. მაჰმად. მე-24 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 24 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა ონოფრესი და ღირსისა მამისავე პეტრე ათონელისა. კათოლ. წმ. ონოფრესი. მაჰმად. მე-25 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 25 დღისაა.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 20 ივნისს ამ 1889 წლისას, დილის 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგურში საჯარო ვაჭრობით გაიცემა იჯარა ქალაქის ქუჩებზედ ასანთებ 1964 ფარნის ნავთით განათებისა ორის წლის ვადით, მომავალ ივლისის თთვის 4-დგან. პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეთა გარდა. (3—3)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго,

ფასი 30 კაპ.

„საქართველოს კალენდარის“

რედაქციისაგან.

„საქართველოს კალენდრის“ რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარეობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეიტყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძალიან ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

ზემოხსენებული ცნობა და მასალა სასურველია მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულს, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 10 მან., ნახევარ გვერდი—5 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი—5 მან., ნახევარ გვერდი—3 მან., მეოთხედი—2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს. განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში—ნოღიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში—მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянскій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—1)

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ


СЕРЕБРЯНАЯ

А. А.


ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—24) ა. თუთაევი

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დანია“

რომელიც ყველაფრით მოსერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—5)

ЗА УМЕРЕННОЕ ВОЗНАГРАЖДЕНІЕ

Принимаютъ на себя **составленіе описаній** хозяйствъ, производствъ, фабрикъ и заводовъ къ предстоящей кавказской выставкѣ въ Тифлисѣ.

Производятъ также **развѣдки рудъ** и минераловъ и **составленіе минералогическихъ коллекцій**.

Адресъ—въ редакціи «Иверія».

Письменно—**Павлу Михайловичу Воронову**. (3—1)

Доз. ценз. Тифлисъ 10-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე